თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 15

28 დეკემბერი 2023 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 32 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**მამუკა ბურდიაშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ბაადურ რევაზიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: **ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ მუსაევი, ოთარი ესიტაშვილი, თამარ ხატიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: **გიგი გიგიტელაშვილი, გელა ჭვრიტიძე, ეთერი გურგენაშვილი.**

საკრებულოს წევრები: **ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, მარიამ ლილუაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კევლიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, მერი მაისურაძე, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზი ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ანდრონიკაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ მეტრეველი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ფიქრია ყუშიტაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული სამსახურის უფროსი **ანა ფეიქრიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **თამარ ზაზანაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი **თინათინ არაბული;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **გიორგი დანიბეგაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ლიკა ალადაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის განყოფილების უფროსი **მალხაზ ბაღუაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი **გიგა მამუკელაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

N10 ოლქის თელავის, ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ირაკლი ქადაგიშვილის ბიუროს თანამშრომელი **ნონა გოგატიშვილი;**

მდგრადი განვითარების რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი **კახა სუხიტაშვილი;**

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.

მოქალაქე მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი;

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი. დამატებითი საკითხი წარმოდგენილი არ ყოფილა.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

მომხს. ლ.ანდრიაშვილი
თანამომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.30სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ანდრიაშვილი
თანამომხს.ა.ფეიქრიშვილი
ნ. ვაყელიშვილი
12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

3. „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
თანამომხს. გ.ენუქიძე
12.40სთ-დან-12.50სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. მეტრეველი
თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი
12.50სთ-დან-13.00სთ-მდე

13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №20 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. ნ. მეტრეველი
თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.10სთ-დან-13.20სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.თ.ზაზანაშვილი
13.20სთ-დან-13.30სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „60+ ბებია და პაპების კლუბისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.ზ.სახიაშვილი
13.30სთ-დან-13.40სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ეთერი სარაჯიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.ზ.სახიაშვილი
13.40სთ-დან-13.50სთ-მდე

9. თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 432 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი საუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.ზ.სახიაშვილი
13.50სთ-დან-14.00სთ-მდე

10. თელავის ჭადრის ხისთვის ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ხის სტატუსის მინიჭების შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.ზ.სახიაშვილი
14.00სთ-დან-14.10სთ-მდე

11. „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ"

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.მ.ბაღუაშვილი
14.10სთ-დან-14.20სთ-მდე

12. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ.გალახვარიძე
14.20სთ-დან-14.30სთ-მდე

13. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 იანვრის N02 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ.გალახვარიძე
14.30სთ-დან-14.40სთ-მდე

14. „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
14.40სთ-დან-14.50სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

მომხს. ლ.ანდრიაშვილი
თანამომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.30სთ-მდე

თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე ისაუბრა თელავის მუნიციპალიტეტის მერმა **ლ.ანდრიაშვილმა**, რის შემდგომაც დეტალურად განხილვის პროცესის დაწყებისათვის სიტყვა გადაეცა საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსს **ნ.ვაყელიშვილს,** რომელმაც დეტალურად წარმოადგინა 2024 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილები.

<u>აზრი გამოთქვეს</u>: **ბ.რევაზიშვილმა** აღნიშნა, რომ 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის ფრაქციის „ერთაინი ნაციონალური მოძრაობა“ ინიციატივები, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებელი კორპუსების და მრავალი ქუჩის რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხები.

ბ.რევაზიშვილის მიერ წამოჭრილი საკითხების შესახებ დეტალური განმარტებები გააკეთა მუნიციპალიტეტის მერმა **ლ.ანდრიაშვილმა.**

ბ.გულიაშვილმა ისაუბრა წყალმომარაგების მაგისტრალების რეაბილიტაციის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებზე. სარეაბილიტაციო ქუჩების შერჩევის მეთოდებზე, სასმელი წყლის სოკოების დაფინანსების, სასაფლაოების მოვლა-პატრონობის, მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

რ.ჩეკურიშვილმა დასვა კითხვა სოფელ ფშაველში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის შეუსრულებლობის შესახებ.

ი.კევლიშვილმა აღნიშნა, რომ ბევრი მიმართულებით ეთანხმება ბიუჯეტის პარამეტრებს, მაგრამ კარგი იქნებოდა თუ სოფლებში მეტი ჭაბურღილის მოწყობას შეძლებდა მუნიციპალიტეტი.

გ.გიგიტელაშვილმა ისაუბრა სოფელ კურდღელაურში მინი მოედნის მოწყობის აუცილებლობაზე, აგრეთვე სოფლის გზებზე არსებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ ნაშთის განაწილების დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ პრობლემების მოგვარება.

მან ყურადღება გაამახვილა კიდევ იმ საკითხზე, რომ არ უნდა იზრდებოდეს თანამდებობრივი სარგოები და ბიუროკრატიული აპარატი არ უნდა იზრდებოდეს.

საკრებულოს წევრების მოსსაზრებებზე და შეკითხვებზე განმარტებები გააკეთა მუნიციპალიტეტის მერმა **ლ.ანდრიაშვილმა.**

ლ.კოჭლოშვილმა ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურულ მიმართულებაზე და აღნიშნა, რომ ისევე როგორც 2023 წელს 2024 წელსაც მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

ლ.კოჭლოშვილის სიტყვით გამოსვლის დროს სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა საკრებულოს წევრებს ბ.რევაზიშვილს და დ.ღაღანიძეს შორის, რის გამოც **თავმჯდომარემ სხდომა დაატოვებინა ბ.რევაზიშვილს.**

დ.ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით გარკვეული პრობლემები მართლაც არსებობს, მაგრამ ოპონენტებმა უნდა შეძლონ და აღიარონ რომ ქართული ოცნების გუნდმა მრავალი სასიკეთო გადაწყვეტილება მიიღო მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

თავმჯდომარემ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა კენჭისყრა.

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი** დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **20(ოცი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 11(თერთმეტი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, გ.ჭვრიტიძემ, ბ.გულიაშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ნ.ომანიძემ, ნ.ბახსოლიანმა, მ.მაისურაძემ, რ.იმერლიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ა.კუპატაძემ, ი.კევლიშვილმა.

კენჭისყრის შემდგომ თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება.

რის შემდეგაც მოქალაქეებმა ა.მჭედლიშვილმა და მ.მოსიაშვილმა გამოთქვეს პრეტენზია, რომ მათ არ მიეცათ შეკითხვების დასმის უფლება.

შესვენების დროს აგრეთვე დაპირისპირება მოხდა საკრებულოს წევრებს ლ.კოჭლოშვილსსა და გ.გიგიტელაშვილს შორის. რის გამოც პროტესტის ნიშნად

შესვენების შემდომ ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრებმა დატოვეს სხდომათა დადრბაზი და შემდგომი საკითხების განხილვას არ დასწრებიან.

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ანდრიაშვილი
თანამომხს.ა.ფეიქრიშვილი
ნ. ვაყელიშვილი
12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

3.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
თანამომხს. გ.ენუქიძე
12.40სთ-დან-12.50სთ-მდე

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. მეტრეველი
თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი
12.50სთ-დან-13.00სთ-მდე

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №20 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. ნ. მეტრეველი
თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.10სთ-დან-13.20სთ-მდე

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა.

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.თ.ზაზანაშვილი

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა.

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „60+ ბებია და პაპების კლუბისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.ზ.სახიაშვილი
13.30სთ-დან-13.40სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ეთერი სარაჯიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.ზ.სახიაშვილი

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

9.მოისმინეს: თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 432 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.ზ.სახიაშვილი
13.50სთ-დან-14.00სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა.

10.მოისმინეს: თელავის ჭადრის ხისთვის ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ხის სტატუსის მინიჭების შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.ზ.სახიაშვილი
14.00სთ-დან-14.10სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

11.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.მ.ბაღუაშვილი
14.10სთ-დან-14.20სთ-მდე

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

12.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ.გალახვარიძე
14.20სთ-დან-14.30სთ-მდე

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

13.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 იანვრის N02 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ.გალახვარიძე
14.30სთ-დან-14.40სთ-მდე

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

14.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
14.40სთ-დან-14.50სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზ მთვარელიშვილი**